

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი



აკრატურის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვის
გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

ს ა ტ ე ნ დ ე რ ო დ ო კ უ მ ე ნ ტ ა ც ი ა

ქ. გორი
2014 წელი

სარჩევი

1. ტექნიკური დოკუმენტაცია-----
2. სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების პროექტი-----
3. დამატებითი ინფორმაცია-----
4. დანართი №1 რეკვიზიტები-----
5. დანართი №2 ფასების ცხრილი
6. დანართი №3 საქონლის ტექნიკური პარამეტრები -----

1. ტექნიკური დოკუმენტაცია

1. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

1.1. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

- ა) რეკვიზიტები დანართი №1 მიხედვით
- ბ) ფასების ცხრილი №2 დანართის მიხედვით,
- გ) საქონლის ტექნიკური პარამეტრები დანართი №3 მიხედვით.
- დ) იმის გათვალისწინებით, რომ კარტრიჯების აღდგენას სამსახურები ითხოვენ ოპერატიულად, ტექნიკური მომსახურების ობიექტი უნდა მდებარეობდეს ქ. გორის ტერიტორიაზე.

1.2 ანგარიშწორების პირობები:

- 1.2.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
- 1.2.2 ანგარიშწორება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით ლარში.
- 1.2.3. შესრულებული მომსახურების ანაზღაურება მოხდება მომსახურების დამთავრების შემდეგ.
- 1.2.4 დაფინანსების წყარო - 2014 წლის სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ეკონომიკური შემოსავლები.
- 1.2. 5 ანგარიშწორება განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიღების თაობაზე, მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან **15 კალენდარული დღის ვადაში**.
- 1.2.6 წინასწარი ანგარიშწორება არ გამოიყენება.
- 1.2.8 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები: იხილეთ დანართი №3

1.7. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

- 1.7.1 სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ტექნიკის შეკეთება საჭიროების შესაბამისად:
 - 1. პერსონალური კომპიუტერები
 - 2. ნოუთბუქები
 - 3. პრინტერები
 - 4. ქსეროქსები
 - 5. ქსეროქს- პრინტერები
 - 6. პროექტორები
 - 7. აგრეთვე გასამრავლებელი საშუალებების კარტრიჯების განახლება.

1.8. ტექნიკური მომსახურება და შეკეთება- რემონტი.

- 1.8.1 აპარატურის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვის გამარტივებულ ტენდერის- სავარაუდო სატენდერო ღირებულება შეადგენს **8 000 (რვა ათასი)** ლარს.
- 1.8.2 პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს კომპიუტერული აპარატურის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ფასების ცხრილი დანართი №3- ის მიხედვით.

1.8.3 პრედენდენტის მიერ წარმოდგენილ ფასების ცხრილში ერთეულის ფასი მოცემული და განფასებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა გადასახადის გათვალისწინებით;

1.8.4 ტექნიკური მომსახურების გაწევის ძირითადი მახასიათებელია, კომპიუტერული ტექნიკის ოპერატიული შეკეთება და კარტრიჯების განახლება;

1.8.5 აპარატურის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურება გულისხმობს ყველა სახის სამუშაოებს კომპიუტერებისა და გასამრავლებელი საშუალებების შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფის თვალსაზრისით;

1.8.6 გასაწევი მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს მსგავსი მომსახურებისათვის დადგენილ სტანდარტს;

1.8.7 გაწეული მომსახურების შემოწმებას და მიღება-ჩაბარებას განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან უფლებამოსილი პირი, რომელსაც ნებისმიერ დროს შეუძლია მომსახურების ხარისხის ინსპექტირება.

2.00 მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი:

2.1 მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, საჭიროებისამებრ, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების დადებიდან **2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით**.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2014 ----- წლის -----
ერთის მხრივ სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო-უნივერსიტეტსა (შემდგომში „შემსყიდველი“), მის: ქ. გორი ჭავჭავაძის ქ. №53
და მეორეს მხრივ ----- (შემდგომში „მიმწოდებელი“)
(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები) იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (SPA-----), აპარატურის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვაზე კოდით 50300000, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეული იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმადაც მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოთ აღნიშნული ობიექტი -
----- ლარად. (ხელშეკრულების თანხა, ციფრებით, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით) (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება).

შესყიდვის ობიექტის მოკლე აღწერა

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ_ „ხელშეკრულება“)- შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამაჯვება ტენდერში და აწვდის მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული მომსახურება უნდ შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ პირობებს და მოქმედ სტანდარტებს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტიტ გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითშემსყიდველი.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

3.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

3.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ შემსყიდველი ორგანიზაციის სათანადოდ უფლებამოსილი თანამშრომლები.

4. მიწოდების პირობები

4.1 მომსახურების მიწოდება ხორციელდება ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან **2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შემდეგი პირობების დაცვით:**

4.1.1. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს აპარატურის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ტექნიკური პარამეტრები, დანართი №3- ის თანახმად.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება- ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების და სათანადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ, რომელიც უნდა დადასტურდეს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები ხელმოწერით.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

6.2 გადახდის ფორმა- უნაღდო ანგარიშსწორება

6.3 ანგარიშსწორების გრაფიკი- (მხარეთა შეთანხმებით) (მხარეთა შორის მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და სათანადო ანგარიშ- ფაქტურის წარმოდგენიდან 30 კალენდარული დღის ვადაში).

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმებების გარდა.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398- ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

9. სუბკონტრაქტორები

9.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ.

9.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

9.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით არსებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ფორს- მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/ და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველი დაგვიანებული დღისათვის;

10.2 მიმწოდებელი ვალდებულია დაფაროს 9.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო არაუგვიანეს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

10.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების განმეორებით შეუსრულებლობის ან/ და პირგასამტეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ან თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ: (ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მომსახურება ან მისი ნაწილი;

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში.

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული მომსახურების ღირებულება.

12. ფორს- მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს- მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სათანადო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელივერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. გამოყენებული სამართალი

14.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ხელშეკრულების ენა

15.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ

ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

16. შეტყობინება

16.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17. გადასახადები და დაბეგვრა

17.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელის მოწერიდან **2014 წლის 31 დეკემბრამდე**.

19. დასკვნითი დებულებები

19.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ (3) თანაბარმნიშვნელოვან იდენტურ ეგზემპლიარად, 2 ეგზემპლიარი ინახება შემსყიდველთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

19.2 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

19.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაში შედის მხოლოდ წერილობითი ფორმით შესრულებისა და მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის შემდეგ.

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

20. დამატებითი ინფორმაცია

20.1 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. გორი ჭავჭავაძის ქ. №53, 1 სართული, საკონტაქტო პირი: ლია აბისონაშვილი ტელ: 577 151 224

დანართი #1

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

ანგარიშის ნომერი:

(თანამდებობა,სახელი,გვარი)

(ხელმოწერა)

2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი.

3. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა.

დანართი 2

ფასების ცხრილი

ტენდერის დასახელება _____

ტექნიკის დასახელება	მომსახურების დასახელება	გასაწევი მომსახურების რაოდენობა	მომსახურების ღირებულება	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი	შენიშვნა
				2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით	ქ. გორი ჭავჭავაძის ქ. №53	

პრეტენდენტის დასახელება _____

აპარატურის შეკეთებასა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვის ტექნიკური პარამეტრები

№	ტექნიკის დასახელება და მოდელი	სავარაუდო დაზიანებები	გასაწევი მომსახურების სავარაუდო რაოდენობა
1	პრინტერი HP LaserJet 1010/P1005/1020/1006 P1505/1018 CANON LBP2900	ტექნიკური დათვალიერება და გაწმენდა	1
		თერმოფირის გამოცვლა	1
		მექანიკური კვანძების შეკეთება	1
		ლაზერის გაწმენდა/შეკეთება	1
		ღუმელის ქვედა ლილვის შეცვლა (<i>Lower pressure roller</i>)	1
		თერმო ელემენტის შეცვლა (<i>Heater element</i>)	1
2	კომბაინი HP M1120/M1522	ტექნიკური დათვალიერება და გაწმენდა	1
		თერმოფირის გამოცვლა	1
		მექანიკური კვანძების შეკეთება	1
		ლაზერის გაწმენდა/შეკეთება	1
		ღუმელის ქვედა ლილვის შეცვლა (<i>Lower pressure roller</i>)	1
		თერმო ელემენტის შეცვლა (<i>Heater element</i>)	1
3	კომბაინი CANON MF3110	ტექნიკური დათვალიერება და გაწმენდა	1
		თერმოფირის გამოცვლა	1
		მექანიკური კვანძების შეკეთება	1
		ლაზერის გაწმენდა/შეკეთება	1
		ღუმელის ქვედა ლილვის შეცვლა (<i>Lower pressure roller</i>)	1
		თერმო ელემენტის შეცვლა (<i>Heater element</i>)	1
4	კომბაინი CANON MF4018/MF4410	ტექნიკური დათვალიერება და გაწმენდა	1
		თერმოფირის გამოცვლა	1
		მექანიკური კვანძების შეკეთება	1
		ლაზერის გაწმენდა/შეკეთება	1
		ღუმელის ქვედა ლილვის შეცვლა (<i>Lower pressure roller</i>)	1
		თერმო ელემენტის შეცვლა (<i>Heater element</i>)	1
5	კომბაინი CANON IR2016/2520	ტექნიკური დათვალიერება და გაწმენდა	1
		თერმოფირის გამოცვლა	1
		მექანიკური კვანძების შეკეთება	1
		ლაზერის გაწმენდა/შეკეთება	1
		თერმო ელემენტის შეცვლა (<i>Heater element</i>)	1

		დოლის გამოცვლა	1
		დოლის დანის (რაკელის) გამოცვლა	1
6	პრინტერი ფერადი ჭავჭავი HP DeskJet 2563	ტექნიკური დათვალიერება და გაწმენდა	1
		მექანიკური კვანძების შეკეთება	1
7	სხვა და სხვა ბრენდის პროცესორული ბლოკები	მყარი დისკის შეცვლა (HDD / SATA / 3.5" , 7200rpm 8mb, 320 -500 Gb)	1
		ოპერატიული მეხსიერების შეცვლა (MEMORY / DDR2 DIMM, 1024MB)	1
		გამაგრილებლის შეცვლა (COOLER 775)	1
		კვების ბლოკის შეცვლა	1
8	სხვა და სხვა ბრენდის პორტატიული კომპიუტერები (ნოუთბუკები)	მყარი დისკის შეცვლა (HDD / SATA / 2.5" , 5400rpm 8mb, 250 -320 Gb)	1
		ოპერატიული მეხსიერების შეცვლა (MEMORY / 1GB DDR2-800 SODIMM)	1
		გამაგრილებლის გაწმენდა, თერმოპასტის შეცვლა	1
		კვების ბლოკის შეკეთება	1

დანართი №3-ის
ცხრილი 2.

კარტრიჯების აღდგენის მომსახურების შესყიდვის ტექნიკური პარამეტრები

№	კარტრიჯის დასახელება	მომსახურების დასახელება	გასაწევი მომსახურების სავარაუდო რაოდენობა
1	CB436A CB435A CE285A Canon 728	დატუმბვა	240
		დოლის გამოცვლა	60
2	Q2612A FX-10	დატუმბვა	72
		დოლის გამოცვლა	18
3	EP-27	დატუმბვა	12
		დოლის გამოცვლა	3
4	CEXV-14 CEXV-33	დატუმბვა	20
5	HP 121 Black	დატუმბვა	8
	HP 121 Color	დატუმბვა	8